ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ჰამლეტი ბერაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შეფასებისა და ანგარიშის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მარინე ხვედელიძე

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის N-69. 69230813 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 აპრილის მორიგი სხდომის
ოქმი N7
2023 წლის 3 აპრილი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე პაატა გოგოლაძე, ოთარი ლურსმანაშვილი, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 28 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი
ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
ჰამლეტი ბერაძე ა(ა)ი.პ. მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელი
საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.
ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
მ. ბაბლიძე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,
ე. შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის დირექტორი,
თ.გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი
ს. გლუნჩაძე ოპერატორი.
მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ჰამლეტი ბერაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შეფასებისა და ანგარიშის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის N-69. 69230813 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 28 წევრი.
მომხრე 28,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ა(ა)ი.პ მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელის ჰამლეტი ბერაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი რომელმაც

აღნიშნა, რომ ესწრებოდა კომისიის სხდომას, აღინიშნა, რომ საქმიანობა უკეთესობისკენ მიდის, წესრიგდება ინფრასტრუქტურა, განხორციელებულია და იგეგმება ახალი ღონისძიებები

კომისიამ გამოიტანა დადებითი დასკვნა მისი საქმიანობის შეფასებისას,

ქ. ზუმბაძე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ შეიცვალა ბევრი რამ, ბავშვებისათვის მართლაც კარგი გარემოა შექმნილი, იქ მისვლა ბავშვებისთვის ნამდვილი ზეიმია, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია მაგ. სახურავის ღარი, დარბაზში ქვის იატაკი, ასევე მაინტერესებს დაპირება, რომ მოიზიდავდით გრანტებს, ახლა რა მდგომარეობაა?

ჰ ბერაძე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოგეხსენებათ ის შენობა მარტო ჩვეnი არ არის იქ სხვა უწყებაც არის განთავსებული, სახურავი მთლიანად არი შესაცვლელი მარტო ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ, რაც შეეხება დარბაზში იატაკის შეცვლას დიდი სურვილი მაქვს მისი შეცვლის ამ ზაფხულში შევეცდები, რომ გაკეთდეს, მცირე კოსმეტიკური რემონტების გაკეთება შევძელით, რაც შეეხება გრანტებს მოგეხსენებათ ეს მარტივი საქმე არ არის , როცა ა(ა) ი. პ. ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მე იმედი მქონდა „მშვიდობის კორპუსთან" თანამშრომლობის, პანდემიამ შეგვიშალა ხელი, მიმდინარე წელს ვგეგმავთ მივიღოთ მონაწილეობა კონკურსში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დ, კიკნაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, მან ძირითადად ყურადღება გაამახვილა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პროცენტულ მაჩვენებლებზე,

აღნიშნა, რომ მსჯელობა იყო ყველა საკითხზე, მე როგორც კომისიის თავმჯდომარე 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებას ვაფასებ დადებითად და შემოვდივართ წინადადებით დამტკიცდეს ანგარიში.

ა. ოქრომჭედლიძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დასვა შეკითხვა მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის ვადაზე ადრე დაფარვის თაობაზე.

ვ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია, რადგან დადებულია ხელშეკრულება არსებობს გადახდის განრიგი, რომელსაც ვიცავთ.

შ. ლურსმანაშვილმა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმატებული წელი იყო, ბევრის რამ გაკეთდა, მაგრამ ისევ პრობლემად რჩება ადმინისტრაციული შენობის დარბაზის რეაბილიტაციის საკითხი, რაც ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

ი. ალხაზიშვილმა დააყენა წინადადება მოგვარდეს ზვარის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსახლეობის პირობებზე მორგება.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ ახალი ხელშეკრულების დადების დროს გავითვალისწინებთ.

კ. ბერაძემ, დასვა წინადადება სათნოების სახლის ბენეფიციართა გაზრდაზე და ასევე მარტოხელა მშობლების დახმარებაზე

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ 1 მარტიდან 20 ბენეფიციარი დაემატა, დახმარება თქვენი ფრაქციის დაყენებული საკითხი იყო ეს 2023 წლის ბიუჯეტით დარეგულირდება.

თ. ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილს უფრო მეტი კონტროლი ჭირდება, გაუხარჯავი თანხა არ უნდა რჩებოდეს, როცა ამდენი პრობლემაა მუნიციპალიტეტში.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ ეს თანხა იყო წლის ბოლოს ჩამორიცხული ქონების გადასახადი, რომლის გახარჯვაც პრაქტიკულად ვერ მოხერხდებოდა.

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ 2022 წელს გაკეთდა დაბის მოსახლეობის 24 საათიანი წყალმომარაგება, პარკი, ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია, დაფინანსდა სოციალური დაცვის ხარჯები, განათლების, კულტურის სფეროები, საკრებულოს უმრავლესობა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებას ვაფასებთ დადებითად და ვაყენებთ წინადადებას დამტკიცების თაობაზე

საკრებულოს წევრები თავიანთ გამოსვლებში ასევე შეეხნენ მიმდინარე პროექტების საკითხსაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შეფასებისა და დამტკიცების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 21

წინააღმდეგი 6

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის (საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრის) კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე-28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის N-69. 69230813 განკარგულებაში ცვლილების შეტანი თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**